



სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030268618646819

№ 02-124/ო

22 / ნოემბერი / 2019 წ.

ავტორიზებული აფთიაქის ნებართვის მისაღებად შესაბამისი ფორმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „ფარმაკოლოგიურ საშუალებათა კლინიკური კვლევის, ფარმაცევტული წარმოების, ავტორიზებული აფთიაქის, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სამკურნალო საშუალებათა იმპორტის ან ექსპორტის ნებართვების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 ივლისის N335 დადგენილების დანართი N3-ის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის N01-64/ნ ბრძანების მე-4 მუხლის „კ“ პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

- დამტკიცდეს:
  - ავტორიზებული აფთიაქის ნებართვის მისაღებად სააპლიკაციო ფორმა (დანართი N1);
  - ავტორიზებულ აფთიაქში ფარმაცევტულ საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის შესახებ სააგენტოში წარსადგენი ფორმა (დანართი N2);
- დაევალოს სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტს, უზრუნველყოს ბრძანებით დამტკიცებული ფორმების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (rama.moh.gov.ge) გამოქვეყნება.
- ძალადაკარგულად გამოცხადდეს სსიპ წამლის სააგენტოს უფროსის 2019 წლის 22 ივლისის N15-1053/ო და 2019 წლის 24 სექტემბრის N15-1339/ო ბრძანებები.
- კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მომსახურების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ჯ. ვეზდენს.
- ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ ზოგიერთ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში ფუნქციებისა და უფლებამოსილებების გადანაწილებასთან/განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 10 ოქტომბრის N487 დადგენილება.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი



ზაალ კაპანაძე